აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) აცხადებენ „ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის" 2014 წლის კონკურსს

კონკურსის მიზანია: ხელი შეუწყოს ნიჭიერ ქართველ დოქტორანტ ქალბატონებს დისერტაციაზე მუშაობაში და სამეცნიერო კვლევებში ქალთა ჩართულობის ზრდას.

თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს, ხოლო თითოეული პროექტის საერთო საგრანტო დაფინანსება - 6 000 აშშ დოლარს. გრანტის 70%-ს გასცემს - CRDF Global-ი, 30%-ს - ფონდი.

CRDF Global-სა და სსგფ–ში წარსადგენად მოითხოვება დოკუმენტაცია რომელიც უნდა მომზადდეს www.grdf.ge ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის მიხედვით.

CRDF –Global-სა და სსგფ-ში ინგლისურ ენაზე წარდგენილ საპროექტო წინადადებაში პროექტის ბიუჯეტი გაწერილი უნდა იყოს საგრანტო დაფინანსების მთლიან თანხაზე (არაუმეტეს 6 000 აშშ დოლარისა).

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ქართულ ენაზე წარდგენილ საპროექტო წინადადებაში ავტორებმა უნდა გაწერონ პროექტის ბიუჯეტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ისინი ითხოვენ ამ ფონდიდან (არაუმეტეს 30%-ს).
საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 19 მაისის 17:00 საათი.

ამასთან, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტის განცხადების (დანართი 4) ორიგინალი არაუგვიანეს 2014 წლის 21 მაისის 18 საათისა.

დანართი იხ. **www.rustaveli.org.ge**

მინისტრის ბრძანება
ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანება
კონკურსის პირობები
პროექტიის რეზიუმე
პროექტის ბიუჯეტის ფორმა ფონდიდან მოთხოვნილ დაფინანსებაზე
აპლიკანტის განცხადების ფორმა

პროგრამის კოორდინატორი: ნიკოლოზ ბაქრაძე
დეტალური ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
მისამართი: მ. ალექსიძის ქ. N1, III სართული
ტელ: 2 200 220 (4406 შიდა); 577 577511;
ელ-ფოსტა: international@rustaveli.org.ge
ვებგვერდი: www.rustaveli.org.ge